დასწდამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№02 ბრძანებით (დანართი 3)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდეგში „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (შემდეგში „წესი“) მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები, კვალიფიკაციის მინიჭების, სტუდენტის შეფასებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
2. ეს წესი შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის.
3. უნივერსიტეტში სწავლების ენაა ქართული.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება რეგულირდება ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის წესით“.
2. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია აგრეთვე მობილობის წესით ჩარიცხვის გზით.

მუხლი 3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია და სტუდენტის ხელშეკრულება

1. პირი, რომელიც მოიპოვებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის მიზნით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
   ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ბ) ფოტოსურათი ¾ კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ვერსია;

გ) წინა საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის /დიპლომის (დანართითურთ) ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მიმდინარე წლის კურსდამთავრებულები წარადგენენ ცნობას შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისთვის);

ე) საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს (საჭიროების შემთხვევაში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას, რის შემდეგაც სტუდენტი მოიპოვებს აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლებას.

მუხლი 4. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში ჩასართავად სტუდენტმა სემესტრულად უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.
2. უნივერსიტეტში სტუდენტების ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადებში.
3. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.
4. სოციალური პროგრამის ფარგლებში ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო დაფინანსების (მრავალშვილიანი ოჯახი/სოციალურად დაუცველი/იძულებით გადაადგილებული პირი/გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიიდან/კონფლიქტის ზონიდან/მაღალმთიანი რეგიონიდან და სხვა) მომლოდინე აბიტურიენტი/სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სემესტრული საფასურის 30%, რომელიც დაფინანსების მიღების შემთხვევაში, განცხადების საფუძველზე დაუბრუნდება საგანმანათლებლო პროგრამის გეგმურ ვადაში დასრულების, ან სტატუსის შეწყვეტის შემდგომ.
5. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტისთვის სწავლების საფასურის დაკისრება ხდება შემდეგი წესით:

   ა) პროგრამით გათვალისწინებული გეგმური ვადის განმავლობაში სტუდენტს ეკისრება სწავლების სემესტრული საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასწავლო კურსის განმეორებით გავლისთვის დამატებით იხდის შესაბამისი მოცულობის კრედიტების ღირებულებას (თუ მოცემულ სემესტრში გასაწევი მომსახურება აღემატება 30 კრედიტს);

   ბ) დამატებით სემესტრში დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტი მომსახურების საფასურს იხდის, შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების მოცულობის

შესაბამისად. დამატებით სემესტრში განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტის დატვირთვისათვის დადგენილი კრედიტების მოცულობის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია, დარეგისტრირდეს შესაბამის სემესტრში შეთავაზებულ ყველა კომპონენტზე, რაც საგანმანათლებლო პროგრამით აქვს გასავლელი.

6. თუ სტუდენტი დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის საფასურს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის შეთანხმება. აღნიშნული გრაფიკის დარღვევა გამოიწვევს სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერებას ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და მიმდინარე სემესტრში უკვე გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს არ დაუბრუნდება. სწავლის საფასურის გადაუხდელობის/ინდივიდუალური გრაფიკის დარღვევის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.
7. თუ სტუდენტს სრულად ან ნაწილობრივ აქვს გადახდილი, სწავლის სემესტრული საფასური, მაგრამ არ გაუვლია აკადემიური რეგისტრაცია, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს მოითხოვოს თანხის დაბრუნება შესაბამისი განცხადების საფუძველზე.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანხები დაბრუნდება შემდეგი წესით:

   ა) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის შესაბამისი განცხადებით სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში მომართვის შემთხვევაში თანხა დაბრუნდება ათი სამუშაო დღის ვადაში;

   ბ) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის შესაბამის განცხადებით სწავლის დაწყებიდან ორი კვირის გასვლის შემდგომ მომართვის შემთხვევაში, თანხა დაბრუნდება მომდევნო სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 და არაუგვიანეს 40 კალენდარული დღის ვადაში.
9. სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სემესტრის დასრულებამდე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფინანსური ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი წესით:

   ა) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის მანძილზე სტუდენტს არ ეკისრება სწავლის სემესტრული საფასური;

   ბ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს შუალედური გამოცდის დაწყებამდე, სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტს ეკისრება სწავლის სემესტრული საფასურის 30%;

   გ) შუალედური გამოცდების დაწყებიდან ფინალური გამოცდების დაწყებამდე სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტს ეკისრება სწავლის სემესტრული საფასური 50%, შემდგომ 100%;

   დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დაბრუნება, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

10. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეთავაზებულ სასწავლო კურსზე არჩევანის გაკეთებას. აკადემიური რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირით. სტუდენტი, ასევე უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით მიმართოს რექტორს და შეავსოს რეგისტრაციისთვის განკუთვნილი განაცხადი. აღნიშნული სერვისით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში.
11. სტუდენტს სასწავლო გეგმა შეეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხოლო თუ იგი ჩარიცხულია მობილობის წესით, ან მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (აკადემიური ჩამორჩენა და ა.შ.) ფაკულტეტის უზრუნველყოფს მისთვის ხელსაყრელი გეგმა-გრაფიკის შემუშავებასა და შეთავაზებას, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით.
12. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე სემესტრული გრაფიკის შედგენისას მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ სასწავლო კურსზე რეგისტრირდება იგი (სასწავლო კურსის განმეორებით გავლა, შესაბამის სემესტრში გაუთვალისწინებელი სასწავლო კურსები).
13. ერთი კრედიტის ღირებულება გამოითვლება ფორმულით: სწავლების წლიური საფასური (2250,00 (ორი ათას ორასორმოცდაათი ლარი) გაყოფილი სამოცზე.
14. თუ სტუდენტი სარგებლობს ამა თუ იმ სახის სახელმწიფო დაფინანსებით და მის ანგარიშზე სრულად ჩამოირიცხა სახელწიფო გრანტი, მაგრამ ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე მას უნარჩუნდება გრანტის აუთვისებელი ნაწილი - დარჩენილი კრედიტების ღირებულება და მისი გამოყენება შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში.
15. დამამათავრებელ სემესტრში სტუდენტის სწავლის საფასური დაანგარიშდება ფაქტობრივად გასავლელი კრედიტების რაოდენობის ღირებულებით.

(რექტორის 2024 წლის 26 იანვრის №/02 ბრძანება - ცვლილება (მე-13 პუნქტი))

მუხლი 5. აკადემიური კალენდარი

1. აკადემიური კალენდარი დგება ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე და მტკიცდება რექტორის აქტით.
2. შესაძლებელია, სემესტრის ხანგრძლივობა და ვადები განსხვავებული სახით მოწესრიგდეს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის, ან კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის.
3. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, რექტორის ბრძანებით, ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება განისაზღვროს სასწავლო პროცესის განსხვავებული ვადები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე შემუშავებული სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი სასწავლო კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების სემესტრის, სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების და შეფასების პირობებისა და სხვა აუცილებელი საკითხების შესახებ, სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნის, საჭიროების და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პროცესში მის თავისუფლად მონაწილეობას.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობის, ან სხვა სახის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით.
3. ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ სტუდენტმა უნდა მიმართოს ფაკულტეტს. სტუდენტის მიმართვის საფუძველზე და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს სტუდენტს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინება, რის შესახებაც ასევე უნდა აღინიშნოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.
4. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, სტუდენტის მობილობის გზით ჩარიცხვის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის შექმნის ინიცირებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავებას უზრუნველყოფს ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, შესაბამისი სასწავლო კურსის სპეციალისტისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტის ჩართულობით.
6. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
7. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელს მიმართავს მოდიფიცირების ინიციატივით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი შედგენისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.
8. კრედიტის მინიჭება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი კრედიტის მიმნიჭებელი კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე (კრედიტის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობაში შედიან: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსები და შესაბამისი სასწავლო კურსის სპეციალისტი).

9. კრედიტის მიმნიჭებელი კომისიის საოქმო გადაწყვეტილება კრედიტის მინიჭების შესახებ ეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსხურს შესაბამისი უწყისში ასახვის მიზნით.

(ცვლილება - პ.5,8,9 - რექტორის ბრძანება №/03 – 31.01.2025)

მუხლი 7. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ ასრულებს პროგრამას და ვერ მოიპოვებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვს მომდევნო 4 სემესტრის მანძილზე თვითდაფინანსებით განაგრძოს სწავლა. ამასთან ობიექტური გარემოების არსებობისას, რაც არ უკავშირდება სტუდენტის აკადემიურ მოუსწრებლობას ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია აღნიშნული ვადა აღემატებოდეს ოთხ დამატებით სემესტრს, მაგრამ არ უნდა იყოს ექვს სემესტრზე მეტი.
2. დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.
3. დამატებით სემესტრში სტუდენტის დატვირთვა არ უნდა იყოს 15 კრედიტზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტს ასათვისებელი აქვს მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის კრედიტები, ან მიმდინარე სემესტრში ვერ შეეთავაზება ასათვისებელი კომპონენტი.

მუხლი 8. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

   ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

   ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევებში;

   გ)დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

   დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში;

   ე) აირჩიოს წარმომადგენელი ფაკულტეტის საბჭოში უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;

   ვ) ისარგებლოს მობილობის უფლებით;

   ზ) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

   თ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

   ი) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანთლებლო პროგრამის შემუშავებაში;

   კ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;

ლ) თვითდაფინანსების პირობებში გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტის ფარგლებში მიღებული როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შეფასება, შესაბამისი კომპონენტის განმეორებით გავლის გზით;

მ) საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტს აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;

ნ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ო) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. უნივერსიტეტი სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლების მისაღებად აუცილებელი პირობების შესაქმნელად რაც შეიძლება გამოიხატოს სტიპენდიის დანიშვნაში, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თუ სხვა სახის შეღავათების დადგენაში.
3. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის შესაბამისად ისწავლოს ყველა ის სასწავლო/კვლევითი კომპონენტი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლა სავალდებულოა, სწავლების მიზნის მისაღწევად.
4. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, ეთიკის კოდექსი და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტები.
5. სტუდენტი, აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. საჩივარი განსახილველად გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის მხრივ კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით საქმის გარემოებების შესწავლას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად და ობიექტურად შესწავლის მიზნით სტუდენტისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

მუხლი 9. სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით/პროგრამის კომპონენტის მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევით, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისთვის განკუთვნილი კრედიტის მინიჭება უნდა მოხდეს ერთი სემესტრის ფარგლებში. კვლევითი/შემოქმედებითი პროექტი, სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
3. სასწავლო კურსში სტუდენტის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს, რაც გაანგარიშდება შესაბამისი სილაბუსით დადგენილი წესით.

4. შუალედური შეფასების კომპონენტები დადგენილია კურსის/მოდულის სილაბუსის/მინიმალური სტანდარტის მიხედვით და შესაბამისობაშია პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგებთან, სწავლების მეთოდებთან და ფორმებთან.

4[1]. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება კომპონენტების ჯამური ქულის ერთი მესამედით.

(რექტორის ბრძანება №/02 – 26.01.2024 - ცვლილება - 4[1] პუნქტის დამატება)

4[2]. სტუდენტს შუალედური გამოცდის აღდგენის უფლება აქვს დეკანის სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე, შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. შუალედური გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს გამოცდის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. შუალედური გამოცდის აღდგენისთვის განკუთვნილ ათ სამუშაო დღეში სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია ინდივიდუალური წესით მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს ფაკულტეტის დეკანი სტუდენტის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტ(ებ)ის განხილვის საფუძველზე.

(რექტორის ბრძანება №/45 - 14.11.2024 - ცვლილება - 4[2] პუნქტის დამატება)

4[3]. საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტული საგნის სილაბუსით აქტივობის კომპონენტში დასაშვებია დაწესდეს შეფასების ქვედა ზღვარი, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ 50%+1 ქულის დაგროვებას. გამონაკლისს წარმოადგენს სასწავლო კურსი „სარეგენტო პრაქტიკა“, რომლის სილაბუსითაც აქტივობის კომპონენტის შეფასების ქვედა ზღვარი განსაზღრულია 20 ქულით.“

(რექტორის ბრძანება №/03 – 31.01.2025 - ცვლილება - 4[3] პუნქტის დამატება)

(რექტორის ბრძანება №/21 – 08.09.2025 - ცვლილება 4[3] პუნქტში)

5. დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მოიპოვოს შესაბამისი სილაბუსით დადგენილი მინიმალური ქულა.
6. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი ვალდებულია, რეგულარულად უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის შეფასებების ასახვა.
7. საუნივერსიტეტო შეფასებების სისტემა ითვალისწინებს:
   ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
   (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
   (B) ძალიან კარგი - 81- 90 ქულა;
   (C) კარგი - 71-80 ქულა;
   (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
   (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას კურსი/კომპონენტი ახლიდან აქვს გასავლელი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი „(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე ვერ მიიღო ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასება, მაგრამ შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 41-50 უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე.
9. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ ხუთ დღეში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას.
10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნითი შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
11. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებით, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება შუალედური შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, მათი ხვედრითი წილი შეფასების საერთო სისტემაში. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს შეფასების განსხვავებული სისტემა/მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის.
12. უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
13. დასკვნითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში სტუდენტი შედეგების გაცნობიდან ერთ სამუშაო დღეში დეკანის სახელზე წერს განცხადებას. დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც არ შეიძლება შევიდეს დასკვნითი გამოცდის შემფასებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი.
14. სააპელაციო კომისია განიხილავს განცხადებას, მისი დარეგისტრირებიდან ორ სამუშაო დღეში, და იღებს გადაწყვეტილებას დასკვნითი გამოცდის შედეგების უცვლელად დატოვების, ან გაუქმებისა და დასკვნითი გამოცდის თავიდან ჩატარების შესახებ.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით გათავისუფლებას. სტატუსის შეჩერების განმავლობაში ჩერდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში მხარეების თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულებები წარმოშობილია სტატუსის შეჩერებამდე (ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე, უნივერსიტეტის მატერიალური ქონების ფლობა და ა.შ.).
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ცხრა სასწავლო კვირის ვადაში რექტორის სახელზე დაწერილი პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
   ბ) აკადემიური ჩამორჩენილობა (სასწავლო პროგრამის კომპონენტების წინაპირობების დაუკმაყოფილებლობა);
   გ) ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა, ფინანსური დავალიანება;
   დ) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
   ე) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულაბაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
   ვ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
   ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის აქტით, რომლის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდეგში - „რეესტრი“) ასახვას გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრზე პასუხისმგებელი პირი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ხუთი წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

(რექტორის 2024 წლის 26 ნოემბრის N№/46 ბრძანება - მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნტის ცვლილება)

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. ამ წესით დადგენილი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, სტუდენტი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტატუსის აღდგენის მოთხოვნით.

2. სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში, იმავე პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ჩაირიცხა სტუდენტი აღარ ხორციელდება და სტუდენტი სტატუსის აღდგენასთან ერთად სარგებლობს შიდა მობილობით.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია არაუგვიანეს მიმდინარე სემესტრის ფინალური გამოცდის დაწყებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა მიმდინარე სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის, რექტორის ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად დადგენილ ვადაში გაუვლელობის გამო.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს შესაბამისი მონაცემების ასახვას რეესტრში, სტატუსის აღდგენის შესახებ აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
5. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ხუთი წლის ვადაში სტატუსის აღუდგენლობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა, რომლის საფუძველზეც სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ შეეფარდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ) სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ე) უხეში დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

ვ) გარდაცვალება, ან კანონმდებლობით წესით გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

თ) სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ი) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რეგულაციებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2.სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ პირს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და

სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემისას სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს უნივერსიტეტიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რეესტრში აისახება გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

6. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა/ცნობა.

მუხლი 13. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უსდ-ში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისთვის არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა სტუდენტის სტატუსი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისთვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე, პირს რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელმაც რანჟირების დოკუმენტში მითითებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
3. მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტი სარგებლობს შიდა მობილობით.
4. სამაგისტრო საფეხურზე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმატებით ჩააბარებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ შიდა გამოცდას შემოქმედებით ტურში.
5. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
6. თუ უნივერსიტეტი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, უნივერსიტეტმა დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
8. უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი სწავლის გადასახადი განისაზღვრება იმ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურით, რომელზეც იგი გააგრძელებს სწავლას.

(რექტორის 2024 წლის 26 იანვრის N0/02 ბრძანება - ცვლილება (მე-4 პუნქტი))

მუხლი 14. მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრზე პასუხისმგებელი პირი ფაკულტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდეგში - „სისტემა“) უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს მობილობის მსურველ პირთა ადგილების საამისოდ განსაზღვრული ფორმით რეგისტრაციას.
2. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება მობილობის მსურველის მიერ დაწესებულებაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ვადები, კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი წინაპირობები (მათ შორის შიდა გამოცდები, შემოქმედებითი ტური/ტურები) რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენას.
3. უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მობილობის მსურველს გაუგზავნოს დასაბუთებული მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.
4. აღიარების კომისია ადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რისთვისაც ამოწმებს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს, სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას მიმღები პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.
5. კრედიტების აღიარება ფორმდება აღიარების კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში სხვაობის მიუხედავად.
7. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. კომისია უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა

კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

8. (გაუქმებულია. რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის ბრძანება N№/36)
9. მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე ამ მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე. უნივერსიტეტის რეესტრში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.
10. ბრძანების პროექტზე სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა პირველ ოქტომბრამდე შემოდგომის - ან პირველ მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო სამი სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სისტემაში.
11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინება სისტემას.

მუხლი 15. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
2. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, პროცედურა და ვადები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
3. შიდა მობილობის გამოცხადებასთან ერთად უნივერისტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვაკანტური ადგილები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
4. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
5. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა შიდა გამოცდის, შემოქმედებითი ტურის/ტურების შედეგები აღემატება შიდა მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.
6. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე ერთნაირი შედეგებით გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, ისინი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.
7. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების საფუძველზე განიხილება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი და აღიარების

კომისია ამავე წესით გათვალისწინებული კრედიტების აღიარების დებულებების დაცვით, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.

8. ფაკულტეტი სტუდენტთან შეთანხმებით ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
9. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი თანახმაა სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით შიდა მობილობა ფორმდება რექტორის აქტით და მონაცემები აისახება რეესტრში.
10. შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში აღიარების კომისია ვალდებულია შეამოწმოს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.
11. სტუდენტის შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა ფორმდება რექტორის აქტით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია ორი კვირის ვადაში ინფორმაცია მიაწოდოს სისტემას.
12. უნივერსიტეტში შიდა მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი სწავლის გადასახადი განისაზღვრება იმ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურით, რომელზეც იგი გააგრძელებს სწავლას.

მუხლი 16. მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრისთვის აღიარებასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტების მიწოდება, რომლის საფუძველზეც ცენტრი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ და უგზავნის უნივერსიტეტს.
2. პირის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება ხორციელდება უნივერსიტეტის კრედიტების აღიარების კომისიის მიერ, მიღწეული სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით ამავე დებულების შესაბამისი პუნქტებისა და უნივერსიტეტში მოქმედი ,,კრედიტების აღიარების წესის“ მოთხოვნათა დაცვით.
3. აღიარებას ექვემდებარება:
   ა) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის;

ბ) იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავებისა და საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.
2. გადაწყვეტილებას ბაკალავრის და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ იღებს ფაკულტეტის საბჭო.
3. სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით (დანართითურთ), რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებთან. უნივერსიტეტის ბეჭედდასმულ დიპლომს ხელს აწერს რექტორი და ფაკულტეტის დეკანი.
4. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 05 აპრილის N149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის დანართი.
5. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დიპლომის მომზადებასთან, გაცემასთან და განადგურებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „დიპლომის გაცემის წესის შესაბამისად“.

მუხლი 18. საშუალო შეწონილი ნიშნის (GPA) დაანგარიშების წესი

1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის კურსდამთავრებულებზე გაიცემა ორი სახის დიპლომი - „წარჩინების“ და ე.წ. „ჩვეულებრივი“.
2. გალობის უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (ე. წ. GPA (grade point average)) დასაანგარიშებლად თავდაპირველად ხდება სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა საშუალო ქულასთან (GPA) ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:
   შეფასების 100-ქულიანი სისტემის შემთხვევაში:

შეფასება	ქულობრივი მაჩვენებელი	GPA
A	91 – 100	4.0
B	81 – 90	3.0
C	71 – 80	2.0
D	61 – 70	1.0

E	51 – 60	0.5
F – FX	0 – 50	0.0

3. უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სტუდენ-ტის/კურსდამთავრებულის მიერ უნივერსიტეტში სწავლების შესაბამის საფეხურზე მიღებული ყველა შეფასება.
4. უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშება ხდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ სასწავლო ბარათში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესის მიხედვით:
   ა) უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კომპონენტში/სასწავლო კურსში მიღებული შეფასება მრავლდება ამ კომპონენტის/კურსის კრედიტების რაოდენობაზე;
   ბ) სასწავლო კომპონენტების/კურსებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე;
   გ) თუ მიღებული სიდიდე შეიცავს მეათედზე მეტი თანრიგის მაჩვენებელს იგი უნდა დამრგვალდეს მეათედამდე სიზუსტით;
   დ) მიღებული სიდიდე წარმოადგენს საშუალო ქულას (GPA);
   ე) GPA გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A, B, C, D, E). FX და F შეფასება GPA–ს გამოთვლაში 0-ის ტოლია;
   ვ) სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, რა დროსაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებებიც. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია: A (91-100) = 4.0; B (81-90) = 3.0; C (71-80) = 2.0; D (61-70) = 1.0; E (51-60) = 0,5.
5. საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშებისას არ უნდა იქნას გათვალისწინებული „ჩათვლები“ ანუ ის შეფასებები, რომლებსაც არა აქვს ქულობრივი მაჩვენებელი. კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისის ფარგლებში შემოქმედებითი-საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის შეფასების შემთხვევაში შესაძლებელია “ჩათვლის” ქულობრივ შეფასებაში გადაყვანა.
6. უნივერსიტეტის თითოეული კურსდამთავრებულის საშუალო ქულა (GPA) მიეთითება დიპლომის დანართში, რაც წარმოადგენს დიპლომის საშუალო ქულას (GPA).
7. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებზე წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დიპლომის საშუალო შეწონილი ქულა (GPA) არანაკლებია 3.0-ზე, ამასთანავე დიპლომის დანართის შეფასებებში არ არის არცერთი „D” და „E” შეფასება. სხვა პირობებში კურსდამთავრებულზე გაიცემა ე.წ. „ჩვეულებრივი“ დიპლომი.
8. 2024 სასწავლო წლამდე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად კურსდამთავრებულის პირადი განცხადების საფუძველზე.
(რექტორის 2024 წლის 31 მაისის N№/10 ბრძანება. ცვლილება - მე-18 მუხლის ახალი რედაქცია)

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

1. წესი დამტკიცდეს უნივერსიტეტის რექტორის აქტით.
2. წესში ცვლილებები და დამატებები შევიდეს რექტორის აქტით.
3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.